დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

განკარგულება:**g-109. 109252395**
თარიღი:**27/08/2025**

დმანისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „დმანისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სამსახურისათვის“ (ს/ნ 428881310) იაპონიის საელჩოსგან, დმანისის მუნიციპალიტეტის სახელით, გრანტის მიღებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 61-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის, მე-100-ე მუხლის მე-5-ე და მე-7-ე პუნქტების და ,,გრანტების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-5^1-ე მუხლის 1^1 პუნქტის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „დმანისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სამსახურს“ (ს/ნ 428881310), დმანისის მუნიციპალიტეტის სახელით, გააფორმოს ხელშეკრულება იაპონიის საელჩოსთან გრანტის/საჩუქრის სახით 70,500.00 (სამოცდაათიათას ხუთასი) აშშ დოლარამდე ან მისი ექვივალენტი ადგილობრივ ვალუტაში, თანხის მიღების თაობაზე, პროექტის „დმანისის მუნიციპალიტეტში ალტერნატიული საბავშვო ბაღის დაარსება“ განსახორციელებლად.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ, ბოლნისის რაიონულ სასამართლოში, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მისამართი ქ. ბოლნისი სულხან საბა ქუჩა N113).

პაატა ყულიაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი